19/04/2024

MES 6 24 0000447479

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)

წევრები:
დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის არაფორმალური განათლების პროგრამის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)

წარმომადგენლები:

ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
რუსუდან ზვიადაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ელენე ცირამუა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **სპს სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1:**

მაია მზარელუა - დირექტორი;
ხათუნა გვარამია - საინფორმაციო მენეჯერი.

2. **სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლა:**

მარეხი ქათამაძე - სკოლის დირექტორი.

3. **სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი - მარინა გორშკოვა:**

მარინა გორშკოვა - დირექტორი.

4. **შპს ოლიმპი თბილისი +:**

მანუჩარ გუგეშაშვილი - დირექტორი.
ალექსანდე ალაფიშვილი - სასწავლო პროცესის კოორდინატორი

5. **სსიპ - ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლა:**

თამარ ამზაშვილი - დირექტორი.

6. სსიპ - ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლა:

ირინე ვადაჭკორია - დირექტორი.

7. სსიპ - ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლა:

ნოდარ ოსაძე - დირექტორი.

8. სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის საჯარო სკოლა:

ნანა ქევხიშვილი - სკოლის დირექტორი.

9. სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა:

რობერტ გელოვანი - სკოლის დირექტორი.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სპს სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1:

ა) ლელა ჯაში - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) ნატო ოგანეზოვი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 05 აპრილს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სპს სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1 -ის ავტორიზაციის საკითხის ხელახალი განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4. სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი - მარინა გორშკოვას მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5. შპს ოლიმპი თბილისი + ის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
10. სსიპ- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა დააყენა შუამდგომლობა სსიპ - ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით. სსიპ- განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის თანამშრომლის განმარტებით, წარმოდგენილი დოკუმენტაცია

ტექნიკური ხარვეზის გამო არ იხსნებოდა და საბჭოს არ ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა წარმოდგენილ მასალებს.

საბჭომ გაიზიარა შუამდგომლობა და დღის წესრიგი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

1. სპს სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1 -ის ავტორიზაციის საკითხის ხელახალი განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4. სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი - მარინა გორშკოვას მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5. შპს ოლიმპი თბილისი + ის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

1. სპს სენაკის ქართულ - ევროპული სკოლა N1-ის ავტორიზაციის საკითხის ხელახალი განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს განუმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 25 იანვრის N72273 გადაწყვეტილებით, სპს სენაკის ქართულ-ევროპულ სკოლა N1-ს უარი ეთქვა ავტორიზაციაზე. სააპელაციო საბჭოს 2024 წლის 15 მარტის N314277 გადაწყვეტილებით კი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სპს სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1-ის ავტორიზაციის საკითხი.
სააპელაციო საბჭომ გადაწყვეტილების დასაბუთების დროს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მისცა მითითება ცხადად და განჭვრეტადად გამოეკვეთა (განსაკუთრებით) იმ რეკომენდაციათა შინაარსობრივი დასაბუთება, რომელთაც არსებითი გავლენა მოახდინეს სტანდარტზე, რომელმაც შექმნა დაწესებულებისთვის

ავტორიზაციაზე უარის თქმის საფუძველი, ასევე გამოეკვლია საკითხი იმის თაობაზე, თუ ფაქტობრივად და იურიდიულად რომელ ფართში (რა მისამართზე განლაგებულ უძრავ ქონებაში) იქნა დაწყებული სასწავლო პროცესი გასული წლის ზამთრის სემესტრიდან და იყო თუ არა დაწესებულების მიერ ფართის შეცვლის შესახებ ინფორმაცია წარდგენილი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განმარტა, რომ 2024 წლის 14 მარტის სააპელაციო საბჭოზე სპს სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1-ის სააპელაციო საჩივრის განხილვის პროცესში გამოიკვეთა გარემოება სკოლის ფართის ცვლილების შესახებ, თუმცა ამის შესახებ სკოლას სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში განაცხადი არ წარუდგენია.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან ვიზიტი განხორციელდა იმ მისამართზე, რომელიც მოცემული იყო სკოლის მიერ წარმოდგენილ საავტორიზაციო განაცხადში, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა იმ ფართში, სადაც განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ოთხივე სტანდარტთან მიმართებით გამოიკვეთა ხარვეზები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის არგუმენტირებული პოზიციიდან იკვეთებოდა გარკვეული მზაობა, რამდენადაც გადადგმული იყო შემხვედრი ნაბიჯები ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, ყველაზე დიდ გამოწვევად დარჩა სკოლის შენობის საკითხი, ვინაიდან ირღვეოდა მესამე სტანდარტი, რომელიც ეხება დაწესებულების მატერიალურ რესურსს, მათ შორის კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ რესურსს, რამდენადაც მოსწავლეებისათვის გარკვეული სივრცეები, მათ შორის კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების ხელმისაწვდომობა სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ სკოლის შენობის საერთო ფართი თავდაპირველი დოკუმენტაციით იყო 254 კვ.მ. მან სთხოვა სკოლის წარმომადგენელს, განემარტა ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად რას გეგმავდა სკოლა, რასაც საბჭო მიიღებდა მხედველობაში გადაწყვეტილების მიღებისას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლამ იჯარის ხელშეკრულებით დაიმატა 70,25 კვ.მ ფართი, რომელიც მდებარეობდა იმავე შენობაში, იმავე მისამართზე, თუმცა წარმოადგენდა ცალკე გამოყოფილ სივრცეს და არ წარმოადგენდა სკოლის საავტორიზაციო განაცხადში მითითებული თავდაპირველი ფართის (254 კვ.მ) ნაწილს.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვინაიდან აღნიშნული 70,25 კვ.მ ფართი არ იყო სკოლის საავტორიზაციო განაცხადში ასახული, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მისი შესწავლა არ მომხდარა, გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ სკოლას ცენტრში არ ჰქონდა ფართის ცვლილების შესახებ განაცხადი წარმოდგენილი. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ფართის ცვლილების საკითხის განხილვა არ იყო რელევანტური. აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით შესაბამისი განაცხადი წარმოდგენილი, აღნიშნული ფართის დამატება ვერ ცვლიდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელსაც ავტორიზაციის საბჭო განიხილავდა.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ განმარტა, რომ 2024 წლის 10 იანვრის საბჭოს სხდომაზე, როდესაც საბჭოს მიერ გაჟღერდა საკითხი სკოლის საავტორიზაციო განაცხადში მითითებული ფართისა და მოსწავლეთა რაოდენობის შეუსაბამობის შესახებ, სკოლის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს საავტორიზაციო განაცხადში მითითებული მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შემცირებაზე. მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, კიდევ ერთხელ წარმოედგინათ საკუთარი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაესახელებინათ რაციონალური რიცხვი, რომლისთვისაც საბჭოს მხრიდან, შესაძლებელი იქნებოდა ავტორიზაციის მინიჭების საკითხის განხილვა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს თავჯდომარემ განაცხადა, რომ შეუძლებლად მიაჩნდა 254 კვ.მ ფართში ხარისხიანი

საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა რომ სკოლას შეეძლო 100 ან ნაკლები მოსწავლისთვის გაეწია შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება.
საბჭოს წევრმა შალვა მეკრავიშვილმა განმარტა, რომ ვინაიდან სკოლის მხრიდან ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაჭრის გზად დასახელებული იყო ფართის დამატება, მან შეამოწმა სკოლის განაცხადი საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე და დაადასტურა, რომ სკოლას ნამდვილად აქვს დამატებული 70,25 კვ.მ-ის ფართი, თუმცა ეს ფართი არის იპოთეკით დატვირთული, რაც ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო საბჭოს მხრიდან გადაწყვეტილების მიღებისას. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა, თუ რა მდგომარეობაში იყო აღნიშნული ფართი. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ფართის დაყოფა მოხდებოდა სკოლის საჭიროებების შესაბამისად და აღნიშნულ ფართში იგეგმებოდა კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების მოწყობა. საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დამატებით განემარტა, თუ როგორ უკავშირდებოდა დამატებითი ფართი სკოლის საავტორიზაციო განაცხადში მითითებულ ფართს. აღნიშულთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დამატებითი ფართი მდებარეობა შენობის შემოსასვლელში. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას, განემარტა, შეეძლო თუ არა მოსწავლეს დამატებითი ფართის სარგებლობა შენობის დატოვების გარეშე, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოსწავლეებს დასჭირდებოდათ სხვა შესასვლელით სარგებლობა, რომელიც დაახლოებით 1 მეტრის დაშორებით მდებარეობდა. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე სთხოვა სკოლა განემარტა, თუ კიდევ რა მდებარეობდა იმ შენობაში, რომელშიც სკოლა ახორციელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შენობა იყო ორსართულიანი და მეორე სართულზე მხოლოდ სკოლა მდებარეობდა, ხოლო დამატებითი ფართი, რომლიც სკოლამ შემოიერთა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, მდებარეობდა ამ შენობის იმავე სართულზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:00 საათი
დასრულების დრო: 16:20 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს- სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1-ის ავტორიზაციის მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 10

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ავტორიზაციის საბჭოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების, სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების განხილვისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სპს- სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1-ს (ს/კ: 239867872) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ გააკეთა განცხადება, რომ ახალი გარემოება, რომელიც შეცვლიდა თავდაპირველ გადაწყვეტილებას, საბჭოს წევრებმა ვერ დაინახეს, ამიტომ იმავე არგუმენტით, რომ სკოლის ფართი და ინფრასტრუქტურა ხელს ვერ უწყობდა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვას, საბჭოს 2024 წლის 25 იანვრის N72273 გადაწყვეტილება დარჩა იგივე და სპს სენაკის ქართულ-ევროპულ სკოლა N1-ს უარი ეთქვა ავტორიზაციაზე.

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლას 2023 წლის 30 ოქტომბრის N1462740 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა ავტორიზაცია. მისი თქმით, საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, ცენტრში წარმოედგინა ექიმის დანიშვნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომში მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

3.სსიპ-რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების
შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ-რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლას 2023 წლის 06 ოქტომბრის N1320926 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა ავტორიზაცია. მისი თქმით, საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში, ცენტრში წარმოედგინა 1-ლი სტანდარტის 1.1, 1.2 და მე-3 სტანდარტის 3.3, 3.4, 3.5 კომპონენტების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულებამ სკოლის ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარების მიმართულებით, წარმოადგინა კითხვარისა და შედეგების ბმული, ასევე სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა. მართვის პროცესებთან დაკავშირებით წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების ინფორმირების უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები, ასევე სკოლამ წარმოადგინა სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობის

დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და პანდუსის დამონტაჟების ამსახველი დოკუმენტაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განმარტა, რომ გაეცნო სკოლის მიერ წარმოდგენილ კითხვარისა და შედეგების ბმულს და აღნიშნა, რომ საკმაოდ პრაქტიკული იყო და იძლეოდა სასკოლო საზოგადოების წევრების მოსაზრებების გაცნობის საშუალებას. აღნიშნა, რომ 137 რესპონდენტიდან მხოლოდ 17 იყო მოსწავლე და კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რამ გამოიწვია მოსწავლეთა ასეთი მცირე რაოდენობით ჩართულობა გამოკითხვის პროცესში. ასევე დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სამეურვეო საბჭოში სკოლას მოსწავლე.
სკოლის დირექტორმა, მარეხი ქათამაძემ განმარტა, რომ გამოკითხვაში მონაწილეობა თვითმმართველობის წევრმა მოსწავლეებმა მიიღეს. რაც შეეხებოდა სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სამეურვეო საბჭოში მოსწავლე ჰყავდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სტრატეგიული გეგმის შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სკოლის მისიაში განსაზღვრული იყო ციფრული უნარ-ჩვევების მქონე თაობის აღზრდა, თუმცა SWOT ანალიზის სუსტ მხარეებში მითითებული ჰქონდა მოძველებული და არასაკმარისი კომპიუტერული ტექნოლოგიები და პერსონალის მხრიდან ტექნოლოგიების გამოყენების კომპეტენციის ნაკლებობა, თუმცა ამოცანების ნაწილი ჰქონდა ზოგადი, შესაბამისად, მიმართა სკოლის წარმომადგენელს მეტი დეტალი გაეცნო საბჭოსთვის.
სკოლის დირექტორმა, მარეხი ქათამაძემ აღნიშნა, რომ სკოლამ მიიღო 65 ახალი კომპიუტერი, რომელთაგან 30 სამასწავლებლოში იყო განთავსებული და მასწავლებლებს ჰქონდათ წვდომა. ასევე განმარტა, რომ სტრატეგიული გეგმა ნამდვილად იყო ზოგადი, თუმცა წლიურ სამოქმედო გეგმაში დეტალურად იყო ჩაშლილი.
საბჭოს წევრი შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა პანდუსის საკითხით და აღნიშნა, რომ მიღება-ჩაბარების აქტი იყო ხელმოუწერელი, გარდა ამისა, ფიქსირდებოდა, რომ ჩატარდა ხის სამუშაოები, თუმცა პანდუსის მოწყობის საკითხი არ იყო დაკონკრეტებული და მიმართა სკოლის წარმომადგენელს გაეკეთებინა განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორმა, მარეხი ქათამაძემ განმარტა, რომ მიღება-ჩაბარების აქტზე ელექტრონული ხელმოწერა იყო გაკეთებული და ფიზიკურად ვერ გამოჩნდებოდა, ხოლო პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს იყო დროებითი გამოყენების და სკოლამ საკუთარი ძალებით მოაწყო პანდუსი, თუმცა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან მიწერილი ჰქონდათ წერილი და ელოდებოდნენ სტანდარტების შესაბამისი პანდუსის მოწყობას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ-რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

4. სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი - მარინა გორშკოვას მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან
განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი - მარინა გორშკოვას სკოლას 2023 წლის 13 თებერვლის N164259 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა

ავტორიზაცია. მისი თქმით, საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, ცენტრში წარმოედგინა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ფოტო-მასალა, ფლობის და ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე თემატიკა და ბრძანება ლაბორატორიის განახლების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტაცია შემდგომი მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი - მარინა გორშკოვას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

5.შპს ოლიმპი თბილისი+ის **მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან**
განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „შპს ოლიმპი თბილისი +“ -ს 2023 წლის 03 თებერვლის N122135 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა ავტორიზაცია. მისი თქმით, საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, ცენტრში წარმოედგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან მიღებული წერილი საათობრივი ბადის შეთანხმებასთან დაკავშირებით და პანდუსის დამონტაჟების დამადასტურებელი მტკიცებულება.
ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა პანდუსის დამონტაჟების დამადასტურებელი მტკიცებულება, წესის შესაბამისად აიყვანა მასწავლებლები, ასევე, წარმოადგინა მეორე ენის მესამე კლასიდან არჩევის შესახებ ბრძანება. აღნიშნული დოკუმენტაცია შემდგომი შესწავლის მიზნით, მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს მეტი დეტალი გაეცნოთ საბჭოსთვის მეორე უცხო ენის არჩევის პროცესთან დაკავშირებით.
სკოლის სასწავლო პროცესის კოორდინატორმა, ალექსანდრე ალაფიშვილმა განმარტა, რომ Google Drive-ის ფორმით ჩატარდა გამოკითხვა მესამეკლასელებში თუ რომელი უცხო ენის არჩევა სურდათ და ამის მიხედვით დამუშავდა ინფორმაცია. ვინაიდან გერმანული მე-5 კლასიდან ისედაც ისწავლებოდა, მოსწავლეთა დაახლოებით 65%-ის მიერ აირჩა რუსული ენა.
აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რატომ ვერ უზრუნველყო სკოლამ მოსწავლეთა იმ 35%-ისთვის გერმანული ენის სწავლება. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სექტემბრიდან იცვლებოდა ფორმა და კლასი გაიყოფოდა ორ ნაწილად, ერთ ნაწილს შეეძლებოდა რუსულის სწავლა, მეორეს გერმანულის. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ამ ეტაპზე რა იყო ხელისშემშლელი ფაქტორი, რომ ასეთი ფორმატით წარმართულიყო სასწავლო პროცესი. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მთავარ პრობლემას კადრების დეფიციტი წარმოადგენდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, შპს ოლიმპი თბილისი +-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

6. სსიპ - ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებ ის ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრულირეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგ არიშის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლას 2023 წლის 04 ოქტომბრის N1297475 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა ავტორიზაცია. მისი თქმით, საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, წარმოედგინა 1.2 (შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა; სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები) და 4.2 (სკოლამ ბრძანებით განსაზღვროს იჯარით გაცემული ფართის - ბუფეტის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი) კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაცია და პირველკლასელთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ სკოლის ბრძანება.
ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა 1.2 და 4.2 კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაცია და პირველკლასელთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ ბრძანება, შესაბამის ვადაში. აღნიშნული დოკუმენტაცია მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ-ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

7.სსიპ - ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ - ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლას 2023 წლის 13 ნოემბრის N1539886 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა ავტორიზაცია. მისი თქმით, საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, წარმოედგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე, სკოლას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უნდა წარმოედგინა 3.1 და 3.3 კომპონენტით განსაზღვრული დოკუმენტაცია, კერძოდ, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები, პერსონალის პირადი საქმეები სრულყოფილი სახით, მისიის დოკუმენტი, მეორე კორპუსის სრული რეაბილიტაცია და ასევე კვალიფიციური ექიმის აყვანა.
ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას საბჭოს გადაწყვეტილებით აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების დამდასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოედგინა 2025 წლის ოქტომბრამდე. დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები, პერსონალის პირადი საქმეები სრულყოფილი სახით, მისიის დოკუმენტი, მეორე კორპუსის სრული რეაბილიტაციის დამადასტურებელი და ასევე კვალიფიციური ექიმის აყვანის დოკუმენტაცია, შესაბამის ვადაში. აღნიშნული დოკუმენტაცია მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ზაზა ფერაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

- 8.სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათ ლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის საჯარო სკოლას 2023 წლის 04 ოქტომბრის N1297453 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა ავტორიზაცია. მისი თქმით, საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, 3.4. და 3.5. კომპონენტის მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენის შესახებ.
ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას საბჭოს გადაწყვეტილებით აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების დამდასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოედგინა 2025 წლის სექტემბრის ჩათვლით. დაწესებულებამ წარმოადგინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრული 3.4. და 3.5. კომპონენტის მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის დოკუმენტაცია, შესაბამის ვადაში. აღნიშნული დოკუმენტაცია მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

9. სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის საჯარო სკოლას 2023 წლის 18 დეკემბრის N1728725 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა ავტორიზაცია. მისი თქმით, საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, წარმოედგინა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას საბჭოს გადაწყვეტილებით აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების დამდასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოედგინა 2024 წლის დეკემბრამდე. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შესაბამის ვადაში აღნიშნული დოკუმენტაცია მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 17:20 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

ელექტრონული მფლობელობა